ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3175113

ნომერი: AR1488516

თარიღი : 22.03.2017

გაცემის თარიღი : 28.04.2017

გაცნობის თარიღი : 28.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს ,მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის(ნაკვ. 10/22);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ანდრიაძე პ/ნ 01024010008
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29/31/33 ბ. 34

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1488516 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირებას, გაცნობებთ:
დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილ, კორექტირებულ გრგ პროექტში ხდება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (26.02.2010წ. განკარგულება N01/417) არეალში შემავალი საკადასტრო ერთეულის საზღვრებისა და შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის საზღვრის ცვლილება.
იქიდან გამომდინარე, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან, პირველ რიგში, მოთხოვნა უნდა დააყენოთ გრგ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ამასთან, წარმოდგენილ ნახაზზე (ფ-11) ფიქსირდება საზოგადოებრივი კვების ობიექტი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ფუნქციის ობიექტი არ ფიქსირდება გაცემულ გრგ გეგმარებით დავალებაში, აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების შეტანისას, მოითხოვეთ მოცემული ფუნქციის (საზოგადოებრივი კვების ობიექტი) დამატებაც.
აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შეგიძლიათ ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და განაცხადი ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, შემდეგ „განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“.
ამასთან, გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის სტადიაზე, წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

- ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემა;
- ა(ა) იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ პოზიცია (ვინაიდან მიმდინარეობს ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მუშაობა), რამდენად მიზანშეწონილია შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში (26.02.2010წ. განკარგულება N01/417) და შესაბამისად, გაცემულ გეგმარებით დავალებაში (08.01.2010წ. N15) დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება.

აქვე, დამატებითი ინფორმაციის სახით, გაცნობებთ, რომ სამსახურმა განაახლა წარმოსადგენი გრგ დოკუმენტაციის მიმართ მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
აქედან გამომდინარე, გრგ კორექტირებისას წარმოსადგენია პროექტის სრული შემადგენლობა და არა მხოლოდ ის ნაწილი, რაც კორექტირებითაა გათვალისწინებული.
დანართის სახით გიგზავნით გრგ ალბომის შემადგენლობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. იისფრად მონიშნული ნაწილი არის გრგ კონცეფციის ამსახველი და „საბჭოს“ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს განცხადებას გრგ „საბჭოზე“ განსახილველად გასატანად.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.